

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“

დურგალი



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: დურგალი

პროფესიული განათლების საფეხური: მესამე საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის დურგლის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1500 საათი) 9,5 თვე

თეორიული: 24 კრედიტი (600 საათი)

პრაქტიკული: 36 კრედიტი (900 საათი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც დასრულებული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და ჩაბარებული აქვს ტესტირება უნარებისა და საბაზისო ცოდნის ნაწილში გამოცდების ეროვნულ ცენტრში

პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს დურგალი, რომელსაც შეუძლია ხელის პნევმატური, მექანიკური და ელექტრო იარაღების გამოყენება მარტივი სადურგლო ნაკეთობის დასამზადებლად, სტანდარტული და არასტანდარტული ოპერაციების შესრულება და მათი კომბინაცია, ესკიზებისა და ნახაზების წაკითხვა, ხის მასალის გაზომვა.

დასაქმების სფერო: ხის დასამუშავებელი საწარმოები, რომელიც დაკავებულია საავიჯო და სამშენებლო ნაკეთობების წარმოებით, ასევე ნებისმიერი კერძო საწარმოები და უცხოური ფირმები. შესაძლებელია თვითდასაქმება.

სწავლის შედეგი:

ღურგალი (მესამე საფეხური)

ცოდნა და გაცნობიერება	<p>იცის, რომ პასუხისმგებელია სამუშაოს შესრულებასა და სამუშაო პროცესში კოლეგებთან ურთიერთობაზე. ზედამხედველობს და აკონტროლებს როგორც არასტანდარტული, ასევე სტანდარტული ოპერაციების შესრულებას და ხშირად მათ კომბინირებას. იცის შესწავლილი აქვს სატყეო საქონლის სახეები და მათი ფიზიკურ- მექანიკურ თვისებები.</p> <p>შეუძლია ესკიზებისა და ნახაზების წაკითხვა და გაგება. ხის პროდუქციის დადგენილი ხარისხის განსაზღვრა.სადურგლო ნაკეთობის ესკიზისა და მარტივი ნახაზის შედგენა. საბაზო დონეზე ფლობს პროფესიულ სიტყვათა მარაგს, ავეჯის ისტორიასა და დიზაინს.</p>
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>შეუძლია ისეთი სამუშაოების შესრულება, რომელიც მოითხოვს ხის მასალის გაზომვას, ხელის პნევმატური, მექანიკური და ელექტრო იარაღების გამოყენებას მარტივი სადურგლო ნაკეთობის დასამზადებლად.</p>
დასკვნის გაკეთების უნარი	<p>შეუძლია მუშაობის შეფერხების მიზეზების დადგენა, ხელსაწყოებისა და მჭრელი იარაღების ტექნიკური პასპორტისა და საექსპლუატაციო ინსტრუქციების გამოყენება, ხელმძღვანელთან კონსულტაციის შემდეგ შეფერხების მიზეზების დადგენა და დასკვნის გამოტანა მათ აღმოსაფხვზველად.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>აქვს პროფესიულ საკითხებზე დეტალური წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი კოლეგებთან და ხელმძღვანელთან. შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო წყაროებიდან მოიძიოს და გამოიყენოს შესაბამისი ინფორმაცია წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფისთვის.</p>
სწავლის უნარი	<p>აქვს უნარი და ნებისყოფა განაგრძოს პროფესიული ზრდა გამოცდილი ხელმძღვანელობის მეთვალყურეობით.</p>
ღირებულებები	<p>აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, კმაყოფილია საკუთარი ხელით დამზადებული პროდუქციით.</p>

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- საწარმოო პრაქტიკას
- დამოუკიდებელ სამუშაოს

- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება
- ზეპირი გამოკითხვა
- დემონსტრირება

სწავლების მეთოდები

- თეორიული სწავლება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- სასწავლო პრაქტიკა
- საწარმოო პრაქტიკა

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სტუდენტს აქვს უფლება გაიაროს დურგლის მეოთხე საფეხურის პროგრამა.